

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

მაუწყებლების ახალი ამბების წინასაარჩევნო
მედიამონიტორინგი

ანგარიში

(25 სექტემბერი - 2 ნოემბერი)



თბილისი, 2016

პროექტის შესახებ

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით და მოიცავს 11 ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვებებს.

მონიტორინგი ხორციელდება შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, GDS, ტაბულა, კავკასია, ტვ პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები 25 სექტემბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით.

მასალის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- თუ წინა საანგარიშო პერიოდებში სამონიტორინგო არხების უმრავლესობა საკუთარი ეთერის ყველაზე დიდ ნაწილს საქართველოს მთავრობის საქმიანობას უთმობდა, ბოლო ორი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეს ტენდენცია შეიცვალა და მათ უფრო მეტად პოლიტიკური პარტიების გაშუქება დაიწყო. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ცხრა არხმა ყველაზე მეტი დრო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაუთმო.
- მთავრობა ყველაზე დადებითად (დათმობილი დროის 11%) „GDS“-ის ეთერში გაშუქდა. ყველაზე უარყოფითი გაშუქება მთავრობას, წინა პერიოდების მსგავსად, ისევ „რუსთავი 2“-ზე აქვს (50%).
- პარტია „ქართული ოცნება“ ყველაზე დადებითად, წინა პერიოდის მსგავსად, GDS“-ის ეთერში ჩანდა - მისთვის დათმობილი დროის 4% პოზიტიური იყო, ნეგატიურად „ქართული ოცნება“ ყველაზე დიდი დოზით „რუსთავი 2“-ის ეთერში გაშუქდა (45%).
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დადებითი ტონით ოთხ არხზე („I არხი“, „რუსთავი 2“, „კავკასია“ და „ტვ პირველი“) გაშუქდა - 1-1%. ყველაზე უარყოფითად პოლიტიკური პარტია ტელეკომპანიამ „ობიექტივი“ გააშუქა (44%).
- დროის განაწილების და თვისობრივი დაკვირვების შედეგების ანალიზისას, წინა პერიოდის მსგავსად, რჩება შთაბეჭდილება, რომ „ობიექტივი“ გამორჩეულად სწყალობს საარჩევნო ბლოკს „პატრიოტთა ალიანსი“.
- შინაარსობრივი ანალიზისას გამოვლინდა, რომ არხები მეტწილად ეთიკური სტანდარტების შესაბამისად აშუქებენ სუბიექტებს. თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება ბალანსის დარღვევის შემთხვევები. მონიტორინგის განვლილ პერიოდებშიც ტელევიზიების მთავარი პრობლემა მხარეთა შორის ბალანსის დარღვევა იყო.

- ისევ მოუგვარებელია ე.წ. კადრ-სინქრონების ბალანსის საკითხიც, რაზეც წინა ანგარიშებშიც ვსაუბრობდით და კვლავ განვმეორდებით - არხები ახალ ამბებს ხშირად ე.წ. კადრ-სინქრონებით აშუქებენ და, ზოგ შემთხვევაში, ინფორმაცია მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით არის გადმოცემული.
- წინა ანგარიშის მსგავსად, ამ პერიოდშიც დაფიქსირდა ქსენოფობიური გამონათქვამის ეთერში გაშვების რამდენიმე შემთხვევა. მედიასაშუალებებმა კვლავ ვერ გამოიჩინეს ეთიკური სტანდარტების სათანადო ცოდნა და ვერ ან არ მოახდინეს მათგან გამოიჯვნა.
- ბოლო ორ საანგარიშო პერიოდში საერთო ტენდენციაა სუბიექტების დადებითი ტონით გაშუქების შემცირება.

შედეგები არხების მიხედვით

ქვემოთ მოცემულია რაოდენობრივი ანალიზის გრაფიკული მონაცემები, ნაჩვენებია შვიდი სუბიექტი 11 არხზე მათთვის დათმობილი დროის და გაშუქების ტონის მიხედვით. სუბიექტები შერჩეულია აღნიშნულ პერიოდში გაშუქების სიხშირის და ცნობადობის კრიტერიუმების ერთობლიობით. შვიდი სუბიექტი ერთი და იგივეა ყველა არხის შემთხვევაში. გამონაკლისია „აჭარის ტელევიზიის“ და „ტვ 25-ის“ მონაცემები - ამ უკანასკნელთა ცხრილებში დამატებულია აჭარის მთავრობა, ვინაიდან ორივე არხი უმეტესად ავტონომიის ამბებს აშუქებს.

I არხი


სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები დააკვირდნენ I არხის მთავარ ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებას “მომხმე 20 საათზე” და “კვირის მომხმე”.

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

I არხი

(25 სექტემბერი - 2 ნოემბერი, 2016)



საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო გამოშვება „მოამბეში“ ყველაზე დიდი დრო, წინა პერიოდის მსგავსად, „ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებას დაეთმო. არხზე ყველაზე დადებითად მთავრობა გაშუქდა - მისთვის დათმობილი დროის 7% დადებით ტონში იყო. ყველაზე უარყოფითად (51%) - ადგილობრივი ხელისუფლება. ყველაზე მეტი ნეიტრალური ტონი, დათმობილი დროის 95%, ბლოკს „პატრიოტთა ალიანსი“ ჰქონდა.

პირველი არხი ეთერს საარჩევნო სუბიექტთა ფართო სპექტრს უთმობდა, სიუჟეტები მზადდებოდა სუბიექტების საარჩევნო აქტივობების შესახებ და ძირითადად შეესაბამებოდა ეთიკურ სტანდარტებს, თუმცა დაფიქსირდა მხარეთა შორის ბალანსის დარღვევის და ამბის არასრულად წარმოჩენის შემთხვევებიც.

მაგალითად, [სიუჟეტში, რომელიც](#) ეხება გარდაბანში ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობას, გადმოცემულია პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრის და ენერგეტიკის სფეროს რამდენიმე ექსპერტის კომენტარი. მათზე დაყრდნობით, თბოელექტროსადგური წარმოჩენილია როგორც საუკეთესო, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი პროექტი, რომელსაც ქვეყნისთვის მხოლოდ დადებითი შედეგი მოაქვს.

სიუჟეტში არ არის განსხვავებული პოზიცია, რომელიც გარემოს დამცველებს აქვთ (გარდაბნის თბოელექტროსადგურის მშენებლობა არაერთ ონლაინგამოცემაში გააკრიტიკეს გარემოს დამცველებმა¹). სიუჟეტში არ არის განხილული, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ახალმა თბოელექტროსადგურმა გარემოს, რაც სიუჟეტის მნიშვნელოვანი ხარვეზია. მედია და განსაკუთრებით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, საზოგადოებას ამომწურავი

¹ <http://netgazeti.ge/news/12807/>

ინფორმაცია მიაწოდოს მისი საცხოვრებელი გარემოს და ამ გარემოში არსებული რისკების შესახებ.

კიდევ ერთი [კადრ - სინქრონი](#) ეხება მთაწმინდის დეპუტატობის კანდიდატის, ნიკა რურუას მიერ წინასაარჩევნოდ მხარდაჭერის თხოვნით მოქალაქეებისთვის სმს-ების გაგზავნის და სატელეფონო ზარების განხორციელების ფაქტს. თუმცა, სიუჟეტში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, ნიკა რურუას გარდა, მსგავს შეტყობინებებს გზავნიდნენ თუ არა სხვა კანდიდატებიც. უშუალოდ ნიკა რურუას კონკურენტი სალომე ზურაბიშვილიც იყენებდა წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა ქალქის ტელეფონებზე ზარის განხორციელების მეთოდს. მნიშვნელოვანი იქნებოდა, საზოგადოებრივ მაუწყებელს უფრო სრულყოფილად და ამომწურავად გაეშუქებინა ეს ფაქტი, მოემიებინა სხვა პარტიების მაგალითები, ეჩვენებინა იურისტების შეფასება - პირად ტელეფონზე შეტყობინებების გაგზავნა არღვევდა თუ არა მოქალაქეების უფლებებს და ა.შ. ნაცვლად ამისა, ამბავი გადმოცემული იყო ვიწრო ჭრილში, საიდანაც გაუგებარი იყო, დაირღვა თუ არა კანონი, ვის მიერ და ვის მიმართ.

რუსთავი 2


სამონიტორინგო პერიოდში რუსთავი 2-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „კურიერი“ (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 21 საათზე), „შაბათის კურიერი“ (შაბათს 21 საათზე) და გადაცემას „P.S.“ (ყოველ კვირას - 21 საათზე).

რაოდენობრივი ანალიზი

„რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, წინა პერიოდის მსგავსად, „ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო. ყველაზე დადებითად "ნაციონალური მოძრაობა" და "თავისუფალი დემოკრატები" წარმოჩინდნენ, თუმცა პოზიტიური ტონი არ აჭარბებდა 1%-ს, ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი (65%), წინა პერიოდის მსგავსად, ისევ ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდა. ყველაზე მეტი ნეიტრალურ ტონში გაშუქება (97%) "თავისუფალ დემოკრატებს" ერგოთ. „რუსთავი 2“ კვლავ გამოირჩევა არსებული ხელისუფლების მიმართ განსაკუთრებული კრიტიკულობით.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%) რუსთავი-2

(25 სექტემბერი - 2 ნოემბერი, 2016)



კვლავ პრობლემად რჩება ბალანსის დარღვევის ფაქტები. თითქმის 17 წუთიანი [სიუჟეტი](#) მიემდგნა "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ყოფნის 4 წლის შეფასებას, მთელი სიუჟეტი გაჯერებული იყო ქართული ოცნების, ხშირ შემთხვევაში, დაუსაბუთებელი კრიტიკით. სიუჟეტში პირდაპირ დასდეს ბრალი ოცნების ლიდერებს არაერთი დანაშაულის ჩადენაში, თუმცა ამ ბრალდებების დამადასტურებელი მყარი მტკიცებულებები სიუჟეტში არ იყო მოყვანილი.

მაგალითად, 2012 წელს, არჩევნების წინა დამით, გურჯაანში მოკლული ბავშვის, ბარბარე რაფალიანცის მკვლელობაში დამნაშავედ "ქართული ოცნება" გამოაცხადეს, სიუჟეტში ასევე, დადასტურებულ ფაქტად წარმოაჩინეს, რომ "ქართული ოცნების" ძალოვანმა უწყებებმა ვანო მერაბიშვილი საკნიდან „თავზე ტომარაჩამოცმული გაიყვანეს“, მაშინ როცა ამ ფაქტის ნამდვილობა არანაირი მტკიცებულებებით არ დადასტურებულა. სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტრო პირდაპირ, ღიად იყო დადანაშაულებული დანაშაულის სტატისტიკის გაყალბებაში. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სუს-ი კი ხელისუფლების ოპონენტების ფარული ჩანაწერების მოპოვება - გავრცელებაში. სიუჟეტის ავტორის მიერ "რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ ბრძოლაში დადანაშაულებულია „სახელმწიფოს მთელი აპარატი“.

ამავე სიუჟეტის მიხედვით, „ხელისუფლების სოციალურმა პოლიტიკამ სასიკვდილოდ გაწირა“ სოციალურად დაუცველები - აჩვენეს მძიმე ყოფაში მცხოვრები ადამიანების ემოციური კადრები და ინტერვიუები.

იგივე სიუჟეტი საყდრისის საბადოს პრობლემასაც შეეხო: „ოპერატიული იყო მთელი სახელმწიფო აპარატი საყდრისის საბადოს აფეთქების დროს. პირადად ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, უძველესი საბადო, რომელსაც გერმანელმა ექსპერტებმა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭეს, თითქმის მთლიანად განადგურდა“.

მთელი სიუჟეტი იყო დაუზუსტებელ ფაქტებზე აგებული. გამოყენებული იყო კადრებით და აუდიოფეხტებით მანიპულაცია, არქივიდან მმართველი გუნდისა და ივანიშვილის კომენტარები ჩასმული იყო მხოლოდ და მხოლოდ უარყოფით კონტექსტში. 17 წუთიან სიუჟეტში გაჟღერებულ ბრალდებებზე არ იყო „ქართული ოცნების“ საპასუხო კომენტარები და არც ამ კომენტარების მოპოვების მცდელობა ჩანდა. ნიშანდობლივია ის, რომ სიუჟეტი გავიდა არჩევნების წინა ღამეს და „ქართულ ოცნებას“ არ მიეცა შესაძლებლობა, ბრალდებებზე პასუხი არჩევნებამდე გაეცა.

აღნიშნული სიუჟეტი სუბიექტურობის, მიკერძოებულობის, დაუბალანსებლობის თვალსაჩინო მაგალითია. ეს არის ნიმუში, როცა მედიასამუშაოება კონკრეტულ პოლიტიკურ სუბიექტის მეტწილად დაუსაბუთებელ ბრალდებებს უყენებს და ამით მის დისკრიმინაციას ეწევა, რაც ცდება ახალი ამბების მომზადების ეთიკურ პრინციპებს.

ერთი [სიუჟეტი](#) მიემდვნა ბიზნესმენ გიორგი კორახაშვილის პრობლემებს, რომელიც აცხადებს, რომ ახლანდელმა ხელისუფლებამ ბიზნესი გაუნადგურა. დასაწყისშივე, ჟურნალისტის საინტერესო ციტატაა: „ალგორითმის მოგუდვის ოპერაცია საქართველოს მთავრობამ 2013 წელს დაიწყო.“


სიუჟეტში ბიზნესმენი გიორგი კორახაშვილი ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურს და პროკურატურას ზეწოლასა და მუქარაში ადანაშაულებს. სიუჟეტის მიხედვით ხელისუფლებამ გააკოტრა კორახაშვილის კომპანიები. ჟურნალისტი მტკიცებით ფორმაში ყვება ფაქტებს, რომელთა ნამდვილობაც მხოლოდ ბიზნესმენის მონათხრობს ეყრდნობა. ჟურნალისტი სიუჟეტში სვამს კითხვებს, რომლებზეც პასუხების გაცემას არ ცდილობს, საეჭვოდ მიიჩნევს სასამართლოს მიერ კონკრეტულ ქონებაზე ყადაღის მოხსნას, თუმცა არაფერს აკეთებს ამ ფაქტის გამოსაკვლევად. სიუჟეტში ბევრი მძიმე ბრალდება ისმის ხელისუფლების მიმართ. კონკრეტულ დანაშაულშია ბრალდებული მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე, თუმცა არ არის არც ერთი საპასუხო კომენტარი, არ ჩანს შოთაძესთან ან მის პრესსამსახურთან დაკავშირების მცდელობა. მთელი სიუჟეტი ეყრდნობა ბიზნესმენ კორახაშვილის მონათხრობს, არ ჩანს ფაქტების სხვა და სხვა წყაროებთან გადამოწმების მცდელობა და დაუზუსტებელი ფაქტები გასაღებულია როგორც რეალურად მომხდარი. იგი ცალმხრივი და დაუბალანსებელია.

იმედი

სამონიტორინგო პერიოდში ტელეიმედის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „ქრონიკა“ (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 20 საათზე), „ქრონიკის სტუდია“ (შაბათს 20 საათზე) და „იმედის დრო“ (ყოველ კვირას-20 საათზე)

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%) იმედი

(25 სექტემბერი - 2 ნოემბერი, 2016)



რაოდენობრივი ანალიზი

ტელეიმედზე, ამჯერად, ყველაზე მეტი დრო "ნაციონალურ მოძრაობას" დაეთმო, წინა პერიოდში პირველ ადგილს "ქართული ოცნება" იკავებდა. ყველაზე დადებითად საქართველოს მთავრობა გაშუქდა (1%), ხოლო ყველაზე უარყოფითად, წინა პერიოდის მსგავსად - ისევ "ნაციონალური მოძრაობა" (28%), ნეიტრალური გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პატრიოტთა ალიანსს ჰქონდა (100%).

ძირითადი ხარვეზები „იმედის“ შემთხვევაშიც ბალანსის დაცვას უკავშირდებოდა.

26 სექტემბრის [სიუჟეტი](#) ეხებოდა „თავისუფალი ზონის“ წევრების ნაწილის მიერ ორგანიზაციის დატოვებას და დესტაბილიზაციის მოწყობის დაგეგმვაში „ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილის დადანაშაულებას. ამავე სიუჟეტის დასასრულს მოცემული იყო „მემარცხენე ალიანსის“ წარმომადგენლის, შალვა ნათელაშვილის ყოფილი თანაპარტიელის სოსო შატერაშვილის კომენტარი, რომელმაც შალვა ნათელაშვილი დაადანაშაულა ოდესიდან შავი ფულის მიღებაში და 8 ოქტომბრის ღამით დაგეგმილ სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობაში. ასეთი მძიმე ბრალდების მიუხედავად, არ ჩანდა შალვა ნათელაშვილის ან ლეიბორისტული პარტიის რომელიმე ლიდერის კომენტარი და არც კომენტარის მოპოვების მცდელობა.

აღსანიშნავია [კადრ-სინქრონი](#), [სადაც](#) ერთ-ერთი ლეიბორისტი (ზურაბ სეფიაშვილი) შალვა ნათელაშვილს აკრიტიკებს. გადაცემის წამყვანის ტექსტში და რესპოდენტის ინტერვიუში

ლეიბორისტების ლიდერი უარყოფითადაა წარმოჩენილი. მიუხედავად ამისა, არ არის ნათელაშვილის, ანდა მისი წარმომადგენლის კომენტარი და არც კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანს.

მაესტრო


სამონიტორინგო პერიოდში მაესტროს ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „კონტაქტი რვაზე“ (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 20 საათზე).

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

მაესტრო

(25 სექტემბერი - 2 ნოემბერი, 2016)



მაესტროს საინფორმაციო გამოშვებაში ყველაზე მეტი დრო "ნაციონალურ მოძრაობას" დაეთმო. ყველაზე დადებითად ბლოკი "პატრიოტთა ალიანსი" წარმოჩინდა - დათმობილი დროის 4%. ყველაზე უარყოფითად (24%) კი - "ნაციონალური მოძრაობა". ყველაზე მეტი ნეიტრალური ტონი, დათმობილი დროის 93%, "თავისუფალ დემოკრატებს" ჰქონდა.

ეთიკური კუთხით მთავარი პრობლემა მაესტროზეც ბალანსის დარღვევა იყო.

მაგალითად, „[შალვა ნათელაშვილის](#) ნაციონალური პოლიტიკა“ - ასე წარადგინა წამყვანმა სიუჟეტი, სადაც რესპოდენტების სინქრონებით წარმოჩენილია, რომ ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილთან თანამშრომლობს, რაც ფაქტად ისეა მოხმობილი, რომ ნათელაშვილის ოპონენტების ბრალდებების გარდა, სხვა არაფერით დასტურდება. სიუჟეტში ნაჩვენებია, რომ

ნათელაშვილის მეუღლეს 3 წლის განმავლობაში ერთ ერთ ევროპულ ბანკში ყოველწლიურად დაახლოებით 100 ათასი ევრო ერიცხებოდა. ეს ფაქტიც მიზეზულია სააკაშვილთან. ერთ-ერთი ყოფილი ლეიბორისტი ამბობს, რომ ნათელაშვილს სააკაშვილი აფინანსებს. სიუჟეტში არ არის ნათელაშვილის მეუღლის, ბელა ალანას კომენტარი და არც მისი მოპოვების მცდელობა ჩანს, მაშინ როცა ის გარკვეულ კანონდარღვევაშია დადანაშაულებული. მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ ნათელაშვილი კომენტარს არ აკეთებს, რაც ამ კონკრეტულ სიუჟეტში გონივრული ბალანსის მიღწევისთვის საკმარისი არ არის.

კიდევ ერთი [სიუჟეტი](#) მიემდვინა მარნეულის ერთ ერთ საარჩევნო უბანზე 8 ოქტომბერს მომხდარი არეულობისა და დაპირისპირების შეფასებას. სიუჟეტში პაატა ბურჭულაძის პარტიის წარმომადგენელი მარნეულის ინციდენტის პროვოცირებაში და რელიგიური შუღლის გაღვივებაში "ნაციონალურ მოძრაობას" ადანაშაულებს. არ იყო "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის საპასუხო კომენტარი და არც მისი მოპოვების მცდელობა ჩანდა.


GDS

სამონიტორინგო პერიოდში GDS-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 2030 (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 20:30 სთ-ზე).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

GDS

(25 სექტემბერი - 2 ნოემბერი, 2016)



რაოდენობრივი ანალიზი

GDS-ის ეთერშიც, ყველაზე დიდი დრო "ნაციონალურ მოძრაობას" დაეთმო, ყველაზე მეტი დადებითი ტონი (11%) მთავრობის მიმართ დაფიქსირდა. უარყოფითი ტონით პარტიებს შორის, წინა პერიოდის მსგავსად, ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერობს მისთვის დათმობილი დროის 34%-ით. ყველაზე მეტი ნეიტრალური გაშუქება დათმობილი დროის 100% ბლოკს „პატრიოტთა ალიანსი“ ჰქონდა.

არასრული და დაუბალანსებელი სიუჟეტის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა GDS-ის ეთერშიც:

„რევოლუციური“ სცენარი, ხალხის მობილიზება და კარვების გაშლა, სწორედ ამ გეგმაზეა საუბარი იმ აუდიოჩანაწერში, სადაც სააკაშვილი და "ნაციონალური მოძრაობის" წევრები საუბრობენ – ასე წარადგინა 2030-ს წამყვანმა 27 სექტემბერს ინტერნეტში გავრცელებული აუდიოჩანაწერი. ჟურნალისტმა მხოლოდ გაკვრით ახსენა, რომ ამ „ჩანაწერის“ ავთენტურობას სუსი - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური - სწავლობს.

მთელი სიუჟეტის განმავლობაში ჟურნალისტი მტკიცებით ფორმაში, როგორც დადასტურებულ ფაქტს წარმოაჩენს აუდიოჩანაწერის და მასში მონაწილე პირების რეალურობას. ჟურნალისტი არსად ამბობს, ვინ გაავრცელა ჩანაწერი, სად გავრცელდა. ჟურნალისტი არ აღნიშნავს, რომ ეს ჩანაწერი უკანონოდაა მოპოვებული და რომ სხვისი საუბრების ჩაწერა დანაშაულია და კანონით ისჯება. სიუჟეტში არ არის არც ერთი მიუკერძოებელი პირის, თუნდაც იურისტის შეფასება ამ საუბრის წარმომავლობის კანონიერების და მასში მოყვანილი საუბრის შინაარსზე. არ არის აღნიშნული, რომ მსგავსი ჩანაწერების მწარმოებლის და გამავრცელებლის გამოვლენა ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა. სიუჟეტში ადრე გავრცელებული ჩანაწერები გაიხსენეს, თუმცა არსად ითქვა, რომ ყოველთვის ოპოზიციონერების ჩანაწერები ვრცელდებოდა.

სიუჟეტი იყო მიკერძოებული, აუდიოჩანაწერით "ნაციონალური მოძრაობა" და მიხეილ სააკაშვილი უარყოფითად იყო წარმოჩენილი. მხოლოდ იმის გაკვრით აღნიშვნა, რომ სუს-ი ადგენს ავთენტურობას არ არის საკმარისი დამაბალანსებელი ინფორმაცია და მხოლოდ მოვალეობის მოხდის შთაბეჭდილებას ტოვებს.

2030-მა ვრცლად გააშუქა 27 სექტემბერს ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ჟურნალისტებთან, რომელიც რუსთავეში გაიმართა. ივანიშვილმა გააკრიტიკა მიხეილ სააკაშვილი და "ნაციონალური მოძრაობა". ასევე, ბრალდებები გამოთქვა კონკრეტული პოლიტიკოსების მიმართ:

„მაჭავარიანია ამ გუნდში და ხმების მოპარვის მეტი არაფერი ევალეზოდა, ძირითადად მოსახლეობისთვის უნდა მოეპარა.“

„ნათელაშვილი ტიპური ყვარყვარეა, ჯაშუშებიდან ფულს იღებდა, საქართველოს ჯაშუშებიდან მოლაღატეებიდან ფულს იღებდა, 3 დღე სარდაფში იმალებოდა დაჭერით ემუქრებოდნენ და ბოლოს რომ მოვიკითხე ჩაიგორეს მკლავებში და იმის მერე ნათელაშვილს ათამაშებენ“.

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილმა პირდაპირ დანაშაულში დასდო ბრალი პოლიტიკოსებს, სიუჟეტში არ ყოფილა არც მიხეილ მაჭავარიანის და არც შალვა ნათელაშვილის კომენტარი. ჟურნალისტს არ უთქვამს, რომ კომენტარის მოპოვება სცადა. ამ სიუჟეტში დაირღვა ბალანსი, რადგან მნიშვნელოვანი პრობლემაა, როცა კონკრეტულ პირს დანაშაულის ჩადენაში სდებენ ბრალს და მას მედია ბრალდებაზე პასუხის გაცემის საშუალებას არ აძლევს.

ტაბულა


სამონიტორინგო პერიოდში ტაბულას ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას ფოკუსი (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 19 საათზე).

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

ტაბულა

(25 სექტემბერი - 2 ნოემბერი, 2016)



„ტაბულას“ ეთერშიც, ყველაზე მეტი დრო მთავრობას დაეთმო, ტაბულას წინა პერიოდის მსგავსად დადებით ტონში არც ერთი სუბიექტი არ გაუშუქებია. უარყოფითი გაშუქების მხრივ, ლიდერი ტაბულაზე მთავრობა იყო - დათმობილი დროის 49%. ნეიტრალურ ტონში ყველაზე მეტად 100-100%-ით "თავისუფალი დემოკრატიები" და ბლოკი - სახელმწიფო ხალხისთვის გაშუქდნენ.

ტაბულაზეც ბალანსის დარღვევის შემთხვევები დაფიქსირდა.

28 ოქტომბრის [კადრ-სინქრონი](#) ახალციხეში "ნაციონალური მოძრაობის" წევრის დაკითხვას ეხებოდა, რომელიც სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორს ცემაში ადანაშაულებდა. კადრ-სინქრონიში მოთხრობილი იყო, რომ "ნაციონალური მოძრაობის" წევრს გუბერნატორმა და მისმა თანხმლებმა ვიდეოკამერა წაართვეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. მასალაში პარტიის ერთ-ერთი ლიდერი "ქართულ ოცნებას" ოპონენტებზე ზეწოლაში ადანაშაულებდა. მიუხედავად ბრალდებებისა, არ იყო წარმოჩენილი „ქართული ოცნების“ ან გუბერნატორის საპასუხო კომენტარი, არც კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანდა.

3 ოქტომბრის [სიუჟეტის](#) მიხედვით ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „საქართველოში მედიის თავისუფლების ანგარიში“ წარადგინა. ანგარიში 2012-16 წლების პერიოდს მოიცავდა. სიუჟეტში ხელისუფლება საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემების პოლიტიკური ნიშნით დახურვასა და არხზე პოლიტიკური ზეწოლის მცდელობაშია დადანაშაულებული. სიუჟეტში საუბარია, რომ ხელისუფლება „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ იბრძვის და „მიაღწია თითქმის ყველა დიდი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაზე გავლენას, გარდა რუსთავი 2-სა“. ამ და სხვა ბრალდებების მიუხედავად, სიუჟეტში არ იყო ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენლის კომენტარი, სიუჟეტი იყო მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით მომზადებული, დარღვეული იყო ბალანსი.

კავკასია


სამონიტორინგო პერიოდში კავკასიის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ, მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „დღე“ (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 20:30 წთ-ზე).

რაოდენობრივი ანალიზი

„კავკასიის“ ეთერში ყველაზე მეტი დრო "ნაციონალურ მოძრაობას" დაეთმო. ყველაზე დადებითად "ნაციონალური მოძრაობა" და "ქართული ოცნება" გაშუქდა, დათმობილი დროის 1%. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი, წინა პერიოდის მსგავსად, ადგილობრივ ხელისუფლებას (26%) ერგო. ნეიტრალური გაშუქებით „კავკასიაზე“ "თავისუფალი დემოკრატიები" და "პატრიოტთა ალიანსი" ლიდერობდა, დათმობილი დროის 100-100%-ით.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%) კავკასია

(25 სექტემბერი - 2 ნოემბერი, 2016)



კავკასიაზეც ბალანსის დარღვევის პრობლემა გამოიკვეთა:

„ნაციონალური“ მოძრაობა "ქართულ ოცნებას" და გამგეობის თანამშრომელს დანაშაულში ამხელს" - ასე წარადგინა ჟურნალისტმა "ნაციონალური მოძრაობის" წევრის განცხადება, სადაც ის თბილისის ერთ-ერთი გამგეობის თანამშრომელს კანონდარღვევაში და "ქართული ოცნების" სასარგებლოდ აგიტაციაში ადანაშაულებს. კადრ-სინქრონში მტკიცებით ფორმაში წარმოჩენილი, რომ გამგეობის თანამშრომელს (სახელი და გვარი დასახელებულია) ავადმყოფობის ყალბი ცნობა აქვს სამსახურში წარდგენილი. სინამდვილეში კი ის "ოცნების" კანდიდატის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობს.

კადრ-სინქრონში გამგეობის თანამშრომელი სისხლის სამართლის დანაშაულში, დოკუმენტის გაყალბებაშია დადანაშაულებული, ქალაქის მერი დავით ნარმანია კი - წინასაარჩევნო კამპანიაში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში. კადრ-სინქრონში ან მისი დამთავრების შემდეგ კავკასიამ მაყურებელს არ შესთავაზა ამ ბრალდებებზე საპასუხო კომენტარი, არ იყო არც გამგეობის თანამშრომლის, არც თბილისის მერიის რომელიმე წარმომადგენლის კომენტარი. ამბავი ცალხმრივად, დაუბალანსებლად იყო გადმოცემული.

კიდევ ერთ მასალაში მარნეულის გამგებელმა და მარნეულში "ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატმა სპეციალურ ბრიფინგზე "ნაციონალური მოძრაობა" პროვოკაციების მოწყობაში დაადანაშაულეს. აღნიშნულ ბრალდებაზე არ იყო "ნაციონალური მოძრაობის" არც ერთი წარმომადგენლის კომენტარი. ამბავი გადმოცემული იყო ცალხმრივად და დაუბალანსებლად.

ტელეკომპანია პირველი


„ტვ პირველის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას (22 საათზე).

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

ტვ პირველი

(25 სექტემბერი - 2 ნოემბერი, 2016)



ტელეკომპანია „პირველი“ ყველაზე ინტენსიურად "ნაციონალურ მოძრაობას" აშუქებდა. ყველაზე მეტი დადებითი ტონი, დათმობილი დროის 17%, ადგილობრივ ხელისუფლებას ერგო. ყველაზე უარყოფითად "ქართული ოცნება" გაშუქდა - მისთვის დათმობილი დროის 29%, ნეიტრალური ტონით (97%-97%) "თავისუფალი დემოკრატები" და ბლოკი "პატრიოტთა ალიანსი" ლიდერობენ.

სამონიტორინგო პერიოდში ტვ პირველი ამბებს ძირითადად კადრ-სინქრონების ფორმატში აშუქებდა. პრობლემა აქაც ბალანსის დაღვევაა. მაგალითად:

ერთ-ერთ [კადრ-სინქრონში](#) "ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთი ლიდერი, ანი მიროტაძე ამბობს, რომ "ქართული ოცნების", "ნაციონალური მოძრაობისა" და "თავისუფალი დემოკრატების" მხრიდან ჭიათურაში საარჩევნო ხმების სანაცვლოდ ფული დარიგდა. მიროტაძის თქმით, ამ ყველაფრის უკან კომპანია "ჯორჯიან მანგანუმი" იდგა. მიროტაძის ამ მძიმე ბრალდებას არც ერთი მის მიერ ჩამოთვლილი სუბიექტის საპასუხო კომენტარი არ მოყოლია, არც კომენტარის

მოპოვების მცდელობა ჩანდა. ამბავი იყო ერთ წყაროზე დაყრდნობით გადმოცემული, იყო დაუზუსტებელი და დაუბალანსებელი.

სხვა [კადრ-სინქრონი](#) მიემდვნა ლარის გაუფასურებას და მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობის" წევრის კომენტარი იყო მოცემული. ზურაბ ჭიაბერაშვილი აღნიშნულში "ქართულ ოცნებას" და მის არასწორ პოლიტიკას ადანაშაულებდა. ამბობდა, რომ ვიდრე ეს ხელისუფლება იქნება, ლარს არაფერი ეშველება. გაუგებარია, ლარის კურსზე სასაუბროდ რატომ შეარჩიეს მხოლოდ ოპოზიციონერი პოლიტიკოსი და რატომ არ მოხდა მისი ბრალდებების საპასუხო კომენტარის მაყურებლისთვის შეთავაზება, ან რა ნიშნით გამოარჩიეს მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობა". კადრ-სინქრონი ცალხმრივია და დარღვეულია ბალანსი.

ობიექტივი


ობიექტივის ეთერში მონიტორები მთავარ საინფორმაციო გამოშვებას აკვირდებოდნენ, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს 19:30 სთ-ზე გადის.

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

ობიექტივი

(25 სექტემბერი - 2 ნოემბერი, 2016)



წინა სამონიტორინგო პერიოდის მსგავსად, ობიექტივზე ყველაზე მეტი დრო ბლოკს „პატრიოტთა ალიანსი“ დაეთმო. შეგახსენებთ, რომ ამ ბლოკის ერთ ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი მედიაკავშირის „ობიექტივი“ ერთ ერთი დამაარსებელია. დადებითი გაშუქების

ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (3%) "თავისუფალ დემოკრატებს" აქვს. უარყოფითი ტონით (44%) "ნაციონალური მოძრაობა" ლიდერობს. ყველაზე მეტი ნეიტრალური გაშუქება, დათმობილი დროის (98%), ბლოკს "პატრიოტთა ალიანსი" ერგო.

არხზე აშკარად შეიმჩნევა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრების ხშირი და დადებითი გაშუქება.

ერთ-ერთ [საინფორმაციო](#) გამოშვებაში გაუშვეს ფორმატისთვის სრულიად შეუსაბამო დავით თარხან მოურავის 224 წამიანი სინქრონი, სადაც იგი საარჩევნო ბანერის ფონზე მიმართავს მაყურებელს, რომ შავ პიარს უგორებენ. აკრიტიკებს ნაციონალურ მოძრაობას და ხელისუფლებას, პარტიული რეიტინგების კვლევებთან დაკავშირებით. არ არის არც ერთი საპასუხო კომენტარი, ინფორმაცია დაუბალანსებლადაა გადმოცემული.

სხვა [კადრ-სინქრონის](#) მიხედვით, "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატმა მთაწმინდაზე ნიკა რურუამ ხელისუფლება არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ხელისუფლებამ საკუთარ ფავორიტს სალომე ზურაბიშვილს ხმები გაყალბების გზით მიაღებინა. კადრ-სინქრონში არც სალომე ზურაბიშვილის, არც მთავრობის საპასუხო კომენტარი არ ჩანს. ამბავი დაუბალანსებლად არის გადმოცემული.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია


მონიტორები აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას (მთავარი ამბები 21 საათზე) აკვირდებოდნენ.

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

აჭარა

(25 სექტემბერი - 2 ნოემბერი, 2016)



აჭარის ტელევიზიის ეთერში ყველაზე მეტი დრო "ნაციონალური მოძრაობის" გაშუქებას დაეთმო. წინა სამონიტორინგო პერიოდში "ქართული ოცნება" ლიდერობდა. ყველაზე მაღალი დადებითი გაშუქების მაჩვენებელი "ქართულ ოცნებას" ჰქონდა, დათმობილი დროის 3%. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი 27-27% საქართველოს მთავრობას და ბლოკს "სახელმწიფო ხალხისთვის" ჰქონდა. ნეიტრალური გაშუქებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბლოკს "პატრიოტთა ალიანსი" ჰქონდა - 100%.

სხვა ბევრი არხის მსგავსად, აჭარის ტელევიზიის ხარვეზები ძირითადად ბალანსს უკავშირდებოდა:

29 სექტემბრის სიუჟეტში [ახალგაზრდა](#) იურისტთა ასოციაცია აჭარის ადგილობრივ თვითმმართველობას აკრიტიკებს და წინასაარჩევნოდ კონკრეტული პროექტისთვის თანხების დახარჯვას კანონდარღვევად უთვლის. მიუხედავად იმისა, რომ უკანონოებაში დასდეს ბრალი, არც მერიის და არც საკრებულოს წარმომადგენლებს არ მიეცათ საშუალება, საპასუხო კომენტარი გაეკეთებინათ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მომზადებულ კადრ-სინქრონში.

28 ოქტომბრის [კადრ-სინქრონი](#) ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მოსახლეობასთან შეხვედრას ეხება. სადაც თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა "ნაციონალური მოძრაობა" გააკრიტიკა და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანაში დასდო ბრალი. არ იყო საპასუხო კომენტარი, "ნაციონალურ მოძრაობასთან" დაკავშირების მცდელობაც არ ჩანდა.

ტელერბი 25


ტვ 25-ს ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მაცნე“ (19 სთ 30 წთ)

რაოდენობრივი ანალიზი

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

ტვ-25

(25 სექტემბერი - 2 ნოემბერი, 2016)



ტვ 25-ს ეთერში ყველაზე მეტი დრო, წინა პერიოდის მსგავსად, "ნაციონალურ მოძრაობას" დაეთმო, დადებითი ტონით (7%) ცენტრალური მთავრობა ლიდერობს. ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქება (48%) ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდა. მაღალი ნეიტრალური გაშუქება (93%) - ბლოკს "პატრიოტთა ალიანსი".

ამ საანგარიშო პერიოდში ტვ25-ს ეთერში ბალანსის დარღვევის ფაქტები არ დაფიქსირებულა, თუმცა იყო ეთიკური გადაცდომის 1 ფაქტი.

[კადრ-სინქრონის](#) ფორმატით გაშუქდა "პატრიოტთა ალიანსის" წევრის შეხვედრა მახინჯაურის მოსახლეობასთან, სადაც მაჟორიტარობის კანდიდატმა ქსენოფობიური განცხადება გააკეთა: „უცხო ქვეყნის ადამიანები რომლებიც შემოდიან აქ და იპყრობენ ჩვენს ტერიტორიებს არა ტანკებით მხოლოდ, არამედ ფულით ეს ექსპანსიები ჰუმანიტარული იქნება თუ სხვა აუცილებლად უნდა აიკრძალოს“. ტვ-25-მა ეს ციტატა ყოველგვარი განმარტების გარეშე

შესთავაზა მაყურებელს, არადა მაუწყებელთა ქცევის კოდექსი და ზოგადად ეთიკური სტანდარტი მოუწოდებს მედიას, ებრძოდოს ნებისმიერ ფობიას და ეთერში მისი მოხვედრის შემთხვევაში, საზოგადოებას იქვე განუმარტოს, რომ ეს ცუდი და მიუღებელია.